ტესტი გეოგრაფიაში

I ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის თითოეული დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტზე მუშაობისას გამოიყენეთ თანდართული რუკები.

<u>გაითვალისწინეთ, თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.</u>

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

- *კითხვა არჩევითი პასუხებით - დავალება № 1-18*

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

(1) 1. ჩამოთვლილთაგან რა მასშტაბის რუკაზეა გამოსახული ტერიტორია უფრო დეტალურად?

ა) 1: 500 000

ბ) 1: 100 000

გ) 1: 50 000

დ) 1: 10 000

(1) 2. რომელი არქიპელაგი მდებარეობს ტროპიკულ სარტყელში?

ა) იაპონიის;

ბ) მცირე ანტილიის;

გ) კურილიის;

დ) შპიცბერგენის.

(1) 3. რას აითვლიან ჩრდილოეთის მიმართულებიდან საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით 0° -დან 360°-მდე დიაპაზონში?

ა) გრძედს;

ბ) განედს;

გ) აზიმუტს;

დ) პროექციას.

(1) 4. რომელი ზღვის მონაცემებია მოცემული ცხრილში?

ზედაპირის ფართობი	≈438 000 კვ.კმ
მაქსიმალური სიღრმე	≈3 040 მ
მაქსიმალური სიგრძე (მერიდიანზე)	≈2 250 კმ
მაქსიმალური სიგანე (პარალელზე)	≈355 კმ
ზედაპირული ფენის მარილიანობა	38-42 ‰

ა) შავი ზღვის;

ბ) ხმელთაშუა ზღვის;

გ) აზოვის ზღვის;

დ) წითელი ზღვის.

(1) 5. რომელი გრაფიკის მონაცემები შეესაბამება ს.გ. 33°52′10″ და ა.გ. 151°12′30″ გეოგრაფიულ კოორდინატებზე მდებარე ადგილს?

ა)



ბ)



გ)



დ)



(1) 6. რომელ წერტილში იქნება ატმოსფერული წნევა უფრო დაბალი?

ა) A

ბ) B

გ) C

დ) D

(1) 7. რომელ დასახლებულ პუნქტშია მზის ნათების ხანგრძლივობის უფრო მაღალი მაჩვენებელი?



ა) ამბროლაურში;

ბ) ტყიბულში;

გ) ცხინვალში;

დ) ბაკურიანში.

(1) 8. მთის ფერდობზე განლაგებულ მეტეოსადგურებზე ერთდროულად მიმდინარეობს დაკვირვება ჰაერის ტემპერატურაზე. რომელ ჩამონათვალშია დალაგებული მეტეოსადგურებში ივლისში დაფიქსირებული ჰაერის საშუალო ტემპერატურის მონაცემები ზრდის მიხედვით (დაბლიდან მაღლისკენ)?

მეტეოსადგურები (t◦C)	სიმაღლე, მეტრი ზღ.დ.
A (t◦C)	780
B (t◦C)	1560
C (t◦C)	1210
D (t◦C)	250

ა) B, C, A, D;

ბ) A, C, D, B;

გ) B, D, A, C;

დ) D, A, C, B.

(1) 9. რომელი გეოგრაფიული ობიექტი *<u>არ მოჩანს</u>* მოცემულ ილუსტრაციაზე?

ა) კ. სულავესი;

ბ) კ. იავა;

გ) ბანდის ზღვა;

დ) იავის ზღვა.

(1) 10. რომელი *<u>არ არის</u>* ქარი?

ა) პასატი;

ბ) ტორნადო;

გ) ბორა;

დ) კრიკი.

(1) 11. ჩამოთვლილთაგან რომელი რეგიონის მოსახლეობაა უფრო მეტი?



ა) იმერეთის;

ბ) აჭარის;

გ) ქვემო ქართლის;

დ) შიდა ქართლის.

(1) 12. რომელია ჩინეთის დემოგრაფიული პირამიდის ფრაგმენტი?



ა)



ბ)



გ)



დ)

(1) 13. რომელი სახელმწიფო მდებარეობს აფრიკის კონტინენტზე?

ა) სუდანი;

ბ) ბანგლადეში;

გ) ბოლივია;

დ) ალბანეთი.

(1) 14. რომელ სახელმწიფოში არსებულ ვითარებას ასახავს ქვემოთ მოცემული წრეწიროვანი დიაგრამა?



ა) საფრანგეთში;

ბ) ალბანეთში;

გ) აზერბაიჯანში;

დ) ისლანდიაში.

(1) 15. ჩამოთვლილთაგან აშშ-ის რომელი შტატია მდიდარი ნავთობითა და ბუნებრივი აირით?

ა) ალასკა;

ბ) ჯორჯია;

გ) ნიუ-ჯერსი;

დ) მონტანა.

(1) 16. სად მდებარეობს სათბობ-ენერგეტიკული რესურსის საბადო?

ა) ჭიათურაში;

ბ) კვაისაში;

გ) ტარიბანაში;

დ) ბაკურიანში.

(1) 17. რისი გამოთვლაა შესაძლებელი ქვეყნის შესახებ ცხრილში მოცემული ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში?

მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა
ინფლაციის მაჩვენებელი
მოსახლეობის რაოდენობა
მშპ ერთ სულ მოსახლეზე
დაბადებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობა
ტერიტორიის ფართობი

ა) ჰუმანური განვითარების ინდექსის;

ბ) მოსახლეობის სიმჭიდროვის;

გ) მიგრაციის სალდოს;

დ) პოლიტიკური გლობალიზაციის ინდექსის.

(1) 18. რა არის ნაჩვენები ფოტოზე?



ა) მურყვამი;

ბ) ფაცხა;

გ) დუროიანი სახლი;

დ) ბანიანი სახლი.

- *რუკის ანალიზი - დავალება № 19-20*

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით დავალებებში მოცემულ რუკებს (კონტურული, ფიზიკური და ტოპოგრაფიული) და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი მონიშნეთ ან ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

(9) 19. გააანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:





გადასვლა კითხვებზე

(1) 19.1. რა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად იყოფა ბრაზილია?

ა) დეპარტამენტი; ბ) კანტონი; გ) შტატი; დ) მიწა.

(1) 19.2. რა არის ციფრებით/ფერებით აღნიშნული ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკის რუკაზე?

ა) ბუნებრივი ზონები; ბ) მოსახლეობის სიმჭიდროვე;
გ) ეკონომიკური რაიონები; დ) სასაათო ზონები.

(2) 19.3. რომელი ქალაქია გამოსახული II სურათზე და რა სახელით არის ცნობილი მასზე ნაჩვენები, ბრაზილიური ქალაქებისთვის დამახასიათებელი, ტიპური ღარიბთა უბანი?

(1) 19.4. რუკაზე აღნიშნული რომელი ქალაქი მდებარეობს ამაზონის დაბლობზე, სადაც მდ. რიუ-ნეგრუ ერთვის მდ. ამაზონს. ეს ქალაქი ბრაზილიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პორტია.

(2) 19.5. რომელია მოსახლეობის რაოდენობით ბრაზილიის უდიდესი ქალაქი და რომელ რაიონში მდებარეობს იგი?

(2) 19.6. რომელი ქალაქის გეგმაა გამოსახული I სურათზე? რა სტატუსი აქვს ამ ქალაქს 1960 წლიდან?

გადასვლა რუკაზე

(6) 20. თანდართული ტოპოგრაფიული რუკის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

(1) **20.1.** დაახლოებით რას უდრის მ. ბერას აბსოლუტური სიმაღლე?

ა) 152,1 მ
ბ) 161,7 მ
გ) 170,9 მ
დ)181,5 მ

(1) **20.2.** დაახლოებით რა აზიმუტით მდებარეობს მ. ბერადან მ. დოლი?

ა) 45^0
ბ) 90^0
გ) 270^0
დ) 315^0

(2) **20.3.** სოფ. დეკიანის მიდამოებში მდებარე ქვანახშირის მაღაროს აქვს თუ არა სამრეწველო დანიშნულება? პასუხი ახსენით.

(2) **20.4.** დაასახელეთ მდინარე, რომლის დინების მიმართულება რუკაზე შეცდომით არის მითითებული. დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.



A
B
180.3
170.6
180,7
173.1
167.9
162.3
176.1
167.0
168.9
178.1
168.7
175.9
163.2
154.2
156.7
158.1
161.1
157.4
159.6
159.9
159.2
180.9

რელიეფი



ძირითადი ჰორიზონტალები გავლებულია ყოველ 2.5 მეტრში
ა) ძირითადი ჰორიზონტალები
ბ) ძირითადი გამსხვილებული ჰორიზონტალები
გ) დამატებითი ჰორიზონტალები (ნახევრადჰორიზონტალები)
დ) ჰორიზონტალების სიმაღლის ნიშნულები მ-ში
ე) კალთის დახრის მაჩვენებლები (ბერგშტრიხები)



ა) ძირითადი სიმაღლის ნიშნულები ბ) სიმაღლის ნიშნულები

სიმაღლის ნიშნულები ორიენტირებით

ფლატე (ბექი) (3-ხრამის სიღრმე მ-ში)

ყორდანები (2-ყორდანის სიმაღლე მ-ში)

ორმოები (3-ორმოს სიღრმე მ-ში)



ხრამებისა და დარტაფების სიგანე ა) 3-ზე ნაკლები; ბ) 3-დან 10 მ-მდე (3/2-ხრამის მახასიათებლები, 3-სიგანე ზედაპირთან, 2 სიღრმე მ-ში); გ) 10-ზე დიდი გამოისახება რუკის მასშტაბში (2 ხრამის სიღრმე)

მცენარეული საფარი და გრუნტი

მცენარეული საფარისა და გრუნტის საზღვრები და კონტურები



წიწვოვანი ტყე



ფართოფოთლოვანი ტყე



შერეული ტყე



ხემცენარეების მახასიათებლები მ-ში: 16-საშუალო სიმაღლე; 0.30 - მერქნის საშუალო სისქე, 5-ხეებს შორის საშუალო მანძილი

ბუჩქნარის ვიწრო ზოლები



ცალკეული ფოთლოვანი კორომები

ორიენტირის მნიშვნელობის მქონე ცალკე მდგომი ხეები: ა) წიწვოვანი ბ) ფოთლოვანი

ცალკე მდგომი ხეები, რომელთაც არ გააჩნიათ ორიენტირის მნიშვნელობა



ახალგაზრდა წიწვოვანი (წვრილნაზარდი) ტყე



ტყეში არსებული **გაჩეხილი** გზების სიგანე (4-**გაჩეხილი** გზის სიგანე მ-ში)



ა) მეჩხერი ტყე
ბ) გაჩეხილი ტყის ნაკვეთები



ბუჩქნარი ა) ცალკე მდგომი ბუჩქები და ბუჩქების დაჯგუფებები; ბ) ხშირი ბუჩქნარი (2-ბუჩქნარის საშუალო სიმაღლე მ-ში

ა) მდელო 1-მეტრზე ნაკლები სიმაღლის ბალახის ტიპის მცენარეულობით; ბ) ხეხილის ბაღები



ა) სახნავი მიწები
ბ) ბოსტნები

ხის დობეები, მესერი, დობეწნულები

საბზაო ძსელი

ორლიანდაგიანი რკინიგზა



ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა

ჯიხურები, ყაზარმები, გზის ქვეშ არსებული მილები



ჩადრმავებებში და მიწაყრილებზე გაყვანილი რკინიგზები (2-ჩადრმავების სიგრძე მ-ში; 4-მიწაყრილის სიმაღლე მ-ში)

გაუმჯობესებული გზატკეცილი (13-დაგებული საფარის სიგანე, 17-მთელი გზის სიგანე სანიაღვრეებს შორის მ-ში. ა-საფარის სახეობა), კილომეტრაჟის ნიშნები. კილომეტრების წარწერები.



გზატკეცილი

გაუმჯობესებული გრუნტის გზები (4-სავალი ნაწილის სიგანე მ-ში)

გრუნტის გზები

მინდვრისა და ტყის გზები

გზების, მდინარეების, არხების გასწვრივ არსებული ნარგავები

ხიდების მახასიათებლები: 30-სიგრძე მ-ში, 5-საავალი ნაწილის სიგანე მ-ში, 5-ტვირთამწეობა ტ-ში

ხიდები, რომელთა სიგრძეა: 1) 3მ-ზე ნაკლები; 2) 3-დან 13 მ-მდე

3 მ-მდე სიგანის მშრალი არხები

დამბები, ხელოვნური მიწაყრილები (1 – სიმაღლე მ-ში)

ჭები (169.1 – ჭის მიწისპირა ნიშნული, 3-5 – ჭის სიღრმე წყლის დონემდე და ფსკერამდე მ-ში)

წყაროები

დასახლებული პუნქტები და მათი წარწერები



სასოფლო და საგარაკო ტიპის დასახლების კვარტლები ცეცხლგამძლე და ცეცხლსაშიში ნაგებობებით

კვარტლებს გარეთ საცხოვრებელი და სხვა ტიპის ნაგებობები ა) ცეცხლგამძლე ბ) ცეცხლსაშიში



სასოფლო და საგარაკო ტიპის დასახლებებში სახლების რაოდენობა

20-დან 100-მდე

(45 - სახლების რაოდენობა)

20-ზე ნაკლები

ცალკეული ადგილობრივი ნაგებობები

მსუბუქი კონსტრუქციის ანძები

ეკლესიები

ბოძებზე დამაგრებული გადახურვები

ქარხნები

დია ტიპის კარიერები: თიხ.- მოპოვებული მასალა, 10 - კარიერის სიღმე მ-ში

მოქმედი მადაროები

კავშირგაბმულობის საჰაერო ხაზები (სატელეფონო, სატელეგრაფო, რადიო და სხვ.)

ხშირი მცენარეულობით დაფარული სასაფლაოები

ჰიდროგრაფია



შრობადი ნაკადები

სანაოსნო მდინარეები

ა) ტბორი ბ) 100 მ-ზე ნაკლები სიგრძის კაშხალი, ავტოტრანსპორტისთვის გაუვალი

მდინარეები და ნაკადულები: 1) 3 მ-მდე, 2) 5 მ-მდე, 3) 5 მ და მეტი სიგანის გამოიხატება რუკის მასშტაბში

წყლის კიდის ნიშნულები

ისრები უჩვენებენ მდინარის დინების მიმართულებას (0.4-დინების სიჩქარე მ/წმ)
მდინარეების მახასიათებლები: 10-სიგანე; 1.2 - სიღრმე მ-ში; ქ - გრუნტის ტიპი

ფონები და მათი მახასიათებლები: 0.5 - სიღრმე მ-ში, 10 - ფონის სიგრძე, 0,4 - დინების სიჩქარე მ/წმ

ხიდები ლითონის ერთთაღიანი

ხიდები ხის ერთთაღიანი

ტოპოგრაფიულ რუკებზე მიღებული შემოკლებები

ა	ასფალტი	აგ.	აგურის
ჯ	ჯიხური	ქ	ქვიშის
რქ.	რიყის ქვა	ტბრ	ტბორი
არყ.	არყის ხე	პრ.	პროექტორის ანძა
ფიჭ.	ფიჭვის ხე	წ	წყარო
ნაძ.	ნაძვის ხე	სს	სოფლის საკრებულო
წსჩ.	წყალსაქაჩი	მყ	მყარი
თიხ	თიხა	კრამ.	კრამიტის ქარხანა
სჭ	საორიენტაციო ჭა	სკ.	სკოლა
ყაზ.	ყაზარმა	ქვ.	ქვიშის კარიერი
ლ.	ლამი	მაღ. ნახ.	ქვანახშირის მაღარო

- *ინფორმაციის ანალიზი - დავალება № 21-29*

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით დავალებაში მოცემულ ინფორმაციას და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი მონიშნეთ ან ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

(1) 21. ანტარქტიდის თავზე, ატმოსფეროში რისი ცვალებადობის დინამიკაა ნაჩვენები ილუსტრაციაზე?



(1) 22. გააანალიზეთ ჩრდილოეთ ნახევარსფეროში მდებარე მდინარის დონის რყევის გრაფიკი და განსაზღვრეთ მოცემული მდინარის საზრდოობის ძირითადი წყაროები (დაასახელეთ საზრდოობის მინიმუმ 2 წყარო)?



(1) 23. ახსენით, რას აღნიშნავს რუკაზე ანტარქტიდის ტერიტორიაზე ნაჩვენები ფერები.



(2) 24. გააანალიზეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს:

პერიოდულად ხდება მოვლენები, რომლებიც მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში ექცევა. ასეთს მიეკუთვნება 2017 წლის ბოლოს აშშ-ის პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელმაც დიდი ვნებათა ღელვა გამოიწვია. მან, ახლო აღმოსავლეთში მდებარე ერთ-ერთი უძველესი და სამი რელიგიისთვის წმინდა ქალაქის, ამ რეგიონში მდებარე ერთ-ერთი სახელმწიფოს დედაქალაქად აღიარების გადაწყვეტილება მიიღო.

(1) 24.1. რომელ ქალაქზეა საუბარი ტექსტში?

(1) 24.2. რომელ სახელმწიფოზეა საუბარი ტექსტში?

(2) 25. გააანალიზეთ რუკა და უპასუხეთ კითხვებს:

(1) **25.1.** რომელი სახელმწიფო აკონტროლებს ხმელთაშუა ზღვიდან შავ ზღვაში გემების შესვლას?

(1) **25.2.** რომელი პორტი მდებარეობს შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე?

(3) 26. გააანალიზეთ რუკა და უპასუხეთ კითხვებს:



(1) 26.1. რომელი მთათა სისტემა მდებარეობს სატელიტურ ფოტოზე წითელი წრით მონიშნულ არეალში?

(1) 26.2. რომელი მთიანეთი მდებარეობს სატელიტურ ფოტოზე წითელი წრით მონიშნულ არეალში?

(1) 26.3. რომელი ლათინური ასოთია აღნიშნული, მონიშნული არეალის უმაღლესი მწვერვალი?

(3) 27. გააანალიზეთ საქართველოს დემოგრაფიული მონაცემები და უპასუხეთ კითხვებს:





დიაგრამა 1.

დიაგრამა 2.

ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი ‰			
1994	2002	2014	2020
1.5	-0.6	3.1	0.5

(2) 27.1. რა დემოგრაფიული მაჩვენებელია მოცემული დიაგრამა 1-ზე და დიაგრამა 2-ზე?

(1) 27.2. რამდენ მოსახლეზეა გაანგარიშებული დავალებაში მოცემული დემოგრაფიული მაჩვენებლები?

(6) 28. გააანალიზეთ მოცემული დიაგრამები და უპასუხეთ კითხვებს:





(1) 28.1. რომელ ასაკობრივ ჯგუფს უკავია მთელ მოსახლეობაში უფრო მაღალი ხვედრითი წილი?

(1) 28.2. დიაგრამაზე ასახულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელ წელს თამაშობდა ყველაზე ნაკლებ როლს მოსახლეობის ზრდაში მიგრაციული სალდო?

(2) 28.3. დიაგრამაზე ასახულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელ წელს იყო ყველაზე მეტი მოსახლეობის წლიური მატება და რამდენი მცხოვრებით მოიმატა ამ წელს ყატარის მოსახლეობამ (აუცილებლად აჩვენეთ გამოთვლის პროცესი)?

(2) 28.4. რომელი სქესის იმიგრანტები ჭარბობენ ყატარში? ახსენით როგორ დაადგინეთ ეს გარემოება?

(8) 29. გააანალიზეთ ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს:

კახეთი

კახეთი საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. მისი ფართობი 11375 კმ^2-ია. მოსახლეობის სიმჭიდროვე 2020 წლის მონაცემებით - 26,28 კაცი/კმ^2. მოსახლეობის 85% ქართველია, 10 % აზერბაიჯანელი, დანარჩენი სხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები არიან. კახეთში 285 დასახლებული პუნქტია.

კახეთი სასოფლო-სამეურნეო რეგიონია, მრეწველობა შედარებით სუსტად არის განვითარებული, რაც გავლენას ახდენს ურბანიზაციის დონეზე. კახეთი ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო მიწების სიუხვით გამოირჩევა. სოფლის ერთ მცხოვრებზე ქვეყანაში საშუალოდ 1,1ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული მოდის, კახეთში ეს მაჩვენებელი 1,4ჰა-ია. ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების გამო მხარეში განვითარებულია მევენახეობა-მეღვინეობა და მეცხვარეობა. რეგიონი ასევე საქართველოს პურის ბეღლად ითვლება. კახეთის სოფლის მეურნეობა ყოველთვის წყლის ნაკლებობას განიცდიდა.

მხარეში განსაკუთრებული ადგილი უკავია დაცულ ტერიტორიებსა და ნაკრძალებს. კურორტები ცოტაა, მათ შორის გამოირჩევა ახტალა.

გადასვლა დიაგრამაზე კითხვებზე



გადასვლა ტექსტზე კითხვებზე

(1) 29.1. კახეთისთვის რა მონაცემია გამოთვლილი: 11375*100/69700=16,31%.

ა) სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობის წილი ქვეყნის მთლიან ფართობში;

ბ) მხარის ფართობის წილი ქვეყნის მთლიან ფართობში;

გ) დაცული ტერიტორიების ფართობის წილი ქვეყნის მთლიან ფართობში;

დ) ნახევრადუდაბნოების ფართობის წილი ქვეყნის მთლიან ფართობში.

(1) 29.2. რომელი ***არ არის*** კახეთის მხარის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი?

ა) მეციტრუსეობა; ბ) მეხილეობა; გ) მევენახეობა; დ) მემარცვლეობა.

(1) 29.3. მოცემული ინფორმაციის გამოყენებით გამოიანგარიშეთ მხარის მოსახლეობის რაოდენობა 2020 წლისთვის. აუცილებლად აჩვენეთ გამოთვლის პროცესი.

(2) 29.4. დაასახელეთ კახეთის მხარის ორი უგრძესი მდინარე.

(1) 29.5. დაასახელეთ მიზეზი, რის გამოც კახეთში დაბალია ურბანიზაციის დონე.

(2) 29.6. რომელ სახელმწიფოებთან აქვს საზღვარი კახეთის მხარეს?

გადასვლა ტექსტზე დიაგრამაზე